საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრო
MINISTRY OF ENVIRONMENT PROTECTION AND AGRICULTURE OF GEORGIA

სსიპ გარემოს ეროვნული სააგენტო
LEPL NATIONAL ENVIRONMENTAL AGENCY

0112, საქართველო, თბილისი, დ. აღმაშენებლის გამზ. 150
150 D. Agmashenebeli ave. 0112, Tbilisi, Georgia

TEL: +995 32 2439503 FAX: +995 32 2439502
E-mail: info@nea.gov.ge Web: www.nea.gov.ge

N 21/1544
09/03/2023

1544-21-2-202303091341

შპს „სიბი ჯორჯიას"
მის: ქ. თბილისი, ვაკის რაიონი, ნუცუბიძის ქ. 139, ბინა N8
ელ. ფოსტა: Rene.meier@cbsa.ch

სააგენტომ განიხილა თქვენი 2023 წლის 16 თებერვლის N1233 განცხადებით წარმოდგენილი დამატებითი ინფორმაცია, რომელიც ეხება სიღნაღის მუნიციპალიტეტში, სოფელ ქვემო მაჩხაანში, სამელიორაციო სისტემის და 49 000 m^3 მოცულობის წყალშემკრები რეზერვუარის ექსპლუატაციაზე გარემოსდაცვითი გადაწყვეტილების მიღებას. როგორც სააგენტოს 2022 წლის 16 დეკემბრის N21/7881 წერილით გეცნობათ, გზშ-ის ანგარიშსა და თანდართულ დოკუმენტაციაში დაზუსტებას საჭიროებდა საქმიანობასთან დაკავშირებული საკითხები, რაც წარმოდგენილ დამატებით ინფორმაციაში არ არის გათვალისწინებული.

დამატებით წარმოდგენილი ინფორმაციის თანახმად, შპს „სიბი ჯორჯიასა" და „საქართველოს მელიორაციას" შორის გაფორმდა ხელშეკრულება, პროექტის ფარგლებში დაგეგმილ წყალაღებასთან დაკავშირებით, კერძოდ შპს ,,საქართველოს მელიორაციასთან" გაფორმებული განაცხადი სამელიორაციო მომსახურების გაწევის შესახებ ითვალისწინებს 103 ჰექტარ ფართობზე წყლის მიწოდებას მაისიდან აგვისტოს ჩათვლით განსაზღვრულ პერიოდებში, ხოლო გზშ-ის ანგარიშის თანახმად 49 000 m^3 მოცულობის წყალშემკრები რეზერვუარის შევსება გათვალისწინებულია 365 დღის განმავლობაში. წარმოდგენილი დამატებითი დოკუმენტაცია არ შეესაბამება წყალაღების საკითხთან დაკავშირებით გზშ-ის ანგარიშში მოცემულ ინფორმაციას და არ არის გათვალისწინებული სააგენტოს შენიშვნები.

აღნიშნულიდან გამომდინარე, საჭიროა „საქართველოს მელიორაციის" კაპიტალში რიცხული ქვემო ალაზნის სარწყავი სისტემის მაგისტრალური არხიდან წყალაღების საკითხების დაზუსტება და სააგენტოს N21/7881 წერილით მოთხოვნილ საკითხებთან დაკავშირებით დამატებითი ინფორმაციისა და შპს „საქართველოს მელიორაციასთან" კომინიკაციის ამსახველი და შეთანხმების დამადასტურებელი დოკუმენტაციის სააგენტოში წარმოდგენა.

გთხოვთ, ერთი თვის ვადაში უზრუნველყოთ დაზუსტებული/დამატებითი ინფორმაციის/დოკუმენტაციის სააგენტოში წარმოდგენა. ზემოაღნიშნული შენიშვნების გათვალისწინებით დაზუსტებული ინფორმაციის/დოკუმენტაციის წარმოდგენამდე სააგენტო მოკლებულია შესაძლებლობას გასცეს გარემოსდაცვითი გადაწყვეტილება.

დანართი: ელ. ვერსია

თამარ ფიცხელაური

სააგენტოს უფროსი

სსიპ გარემოს ეროვნული სააგენტო